სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080144562001615

 # 1381

08 / დეკემბერი / **2015** წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში (შემდგომში – სააგენტო) 2015 წლის 3 დეკემბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის SMP150000755 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

მომართვების მიხედვით, 2015 წლის 27 ნოემბერს შემსყიდველმა ორგანიზაციამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, განახორციელა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგად სოფელ ხიდისთავში დაზიანებული ხიდის შეკეთების სამუშაოების ჩატარებისათვის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურეობის შესყიდვა. ხიდის დაზიანების შედეგად, მუნიციპალიტეტის ცენტრს მოწყვეტილია 8 სოფელი, შეფერხებულია სასწავლო პროცესი ბაღებსა და სკოლებში, საფრთხე ექმნება სასმელი წყლისა და გაზსადენი სისტემის ფუნქციონირებას. მოსალოდნელი ამინდის გაუარესებიდან გამომდინარე, აღნიშნული ობიექტები საჭიროებდა დროული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას, რისთვისაც აუცილებელი გახდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. შესაბამისად, შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, შესყიდვა გამოწვეული იყო გადაუდებელი აუცილებლობით.

ამასთან, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის განმარტებით, აღნიშნული მდგომარეობა განპირობებული იყო ამინდის გაუარესებიდან გამომდინარე და შესაბამისად, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იქნებოდა. ასევე, როგორც მომართვიდან ირკვევა, სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო თანხები ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს საქართველოს მთავრობისაგან გამოეყო 2015 წლის 24 ნოემბერს.

სამოტივაციო ნაწილი

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ ისინი აკმაყოფილებენ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენს გადაუდებელ აუცილებლობას, რადგან, როგორც მომართვაშია აღნიშნული, სტიქიის შედეგად სოფელ ხიდისთავში დაინგრა ხიდი, რის გამოც მუნიციპალიტეტის ცენტრს მოწყდა 8 სოფელი, შეფერხდა სასწავლო პროცესი ბაღებსა

და სკოლებში, საფრთხე შეექმნა სასმელი წყლისა და გაზსადენი სისტემის ფუნქციონირებას. ამასთან, მოცემული ვითარების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო, რადგან აღნიშნული მდგომარეობა განაპირობა ბოლო პერიოდში მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა.

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-11 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზაზა ნანობაშვილი